



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49231452

თარიღი:25/05/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 79

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482314347; 23/05/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	2023 წელი	
		საშტატო რიცხოვნობა	თანამდებ. სარგო
	სულ	24	
1	დირექტორი	1	1650
2	საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1	770
3	საწვრთნელი ბაზის ტექნიკური მომსახურების კოორდინატორი	1	770
4	სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური მართვის კოორდინატორი	1	566
5	საქმეთა წარმოების კოორდინატორი	1	363
6	აგრონომი	1	800
7	მუშა	7	550
8	ფეხბურთის კომენტატორი	1	330
9	ელექტრიკოსი	1	330
10	დამლაგებელი	2	363
11	დარაჯი	6	330
12	კომენდატი	1	440